

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა  
კომისიის სხდომის

ოქმი N 2

ქ. თელავი

2018 წლის 31 იანვარი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიგა მამუკელაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, გიორგი ქიზიყელაშვილი, მიხეილ გრემელაშვილი, ლევან ლილუაშვილი, ბადურ რევაზიშვილი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ა.ა.იპ თელავის მუნიციპალიტეტის „ბაგა-ბაღები“-ის მართვის სააგენტოს დირექტორი თინათინ ხანჯალიაშვილი. კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ფიქრია ყუშიტაშვილი.

დღის წესრიგი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული „ბაგა-ბაღები“-ს ავტორიზაციასთან დაკავშირებით მისაღები ნორმატიული აქტების პროექტების განხილვა.

მომხს: თ . ხანჯალიაშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის №11 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვა.

მომხს: ლ.კოჭლოშვილი

3. თელავის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის განხილვის შესახებ.

მომხს: ფ. ყურშიტაშვილი

მოისმინეს:1. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული „ბაგა-ბაღები“-ს ავტორიზაციასთან დაკავშირებით მისაღები ნორმატიული აქტების პროექტების განხილვა.

აზრი გამოთქვს: თ.ხანჯალაიაშვილმა აღნიშნა რომ, წარმოდგენილი პროექტის თანახმად გვაქვს 5 სტანდარტი რომლის შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ყველა ბაგა-ბაღი რომელიც ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე, შესაბამისად ავტორიზაციაც ამას გულისხმობს, რომ უნდა შემოწმდნენ ბაგა-ბაღები რამდენად შეესაბამებიან ამ 5 მიმართულებას, ამის შემდეგ უნდა მიენიჭოთ მათ უფლება განახორციელონ სკოლამდე აღზრდა და განათლება.

გადაწყვიტეს: კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული „ბაგა-ბაღები“-ს ავტორიზაციასთან დაკავშირებით მისაღები ნორმატიული აქტების პროექტები წარედგინოს საკრებულოს სხდომას დასამტკიცებლად.

მოისმინეს:2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის №11 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვა.

ლ. კოჭლოშვილმა აღნიშნა, რომ აქამდე მოქმედი დებულების მუხლი 1-ის მე-3 პუნქტში უნდა შევიტანოთ ცვლილება, კერძოდ: ნაცვლად მუნიციპალიტეტის მერის მიერ დაფუნქციონირებული

იურიდიული პირების საქმიანობის კონტროლი ჩამოვყალიბოთ  
შემდეგი რედაქციით: მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის  
იურიდიული პირების საქმიანობის კონტროლი” -თ

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის №11  
დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა  
კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის  
თაობაზე პროექტი წარედგინოს საკრებულოს განსახილველად.

მოსმინეს: 3. თელავის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა  
2018 წლის მუნიციპალური პროგრამის განხილვის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის სპორტისა  
და ახალგაზრდობის საქმეთა 2018 წლის მუნიციპალური პროგრამა  
შესაბამისად მოიცავს ორ მიმართულებას ეს გახლავთ სპორტისა და  
ახალგაზრდობის ღონისძიებები.

ფ. ყურშიტაშვილმა განმარტება გააკეთა წარმოდგენილ პროექტთან  
დაკავშირებით.

აზრი გამოთქვას: ლ კოჭლოშვილმა აღნიშნა, რომ რომ მიზანშეწონილად მიაჩნია  
წარმოდგენილი პროექტის წარდგენა საკრებულოსათვის  
განსახილველად. აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმნენ კომისიის  
წევრები.

გადაწყვიტეს: კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია თელავის მუნიციპალიტეტის  
სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა 2018 წლის მუნიციპალური  
პროგრამის წარდგენა საკრებულოსათვის განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე



ლევან კოჭლოშვილი